დაკვეთა №46/2023

წინასწარი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა

ქ. თბილისში, მარიჯანის ქ.№2-ში (ს/კ 01.14.03.039.007) სამშენებლოდ გამოყოფილი მიწის ნაკვეთის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესაფასებლად არსებული საარქივო მასალების გამოყენების საფუძველზე

დირექტორი ზ. კვაჭანტირაძე

თბილისი 2023 წ.

შპს „გეოინჟკომპლექსი"
ჟიული შარტავას ქ. №43დ
თბილისი, 0160, საქართველო

"GEOENGCOMPLEX" LTD
43d Zhiuli Shartava Str., 0160
Tbilisi, Georgia

Tel. (995 32) 37 62 55 E-mail: geo.logi@yahoo.com

ს ა რ ჩ ე ვ ი

I ტექსტური ნაწილი

1. ტექნიკური დავალება ---------- 1
2. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა ---------- 2 – 6

დანართი: 2005 წელს ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა

3. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა 2005 წლის აგვისტო ---------- 1 – 11
4. დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა 2005 წლის ნოემბერი ----1 - 2

II ტექსტური ნაწილის დანართები

ლაბორატორიული კვლევები

5. გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები და დასკვნა---------- 4 ფურც.
6. გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები ----------2 ფურც.
7. კომპრესიული და ძვრაზე გამოცდის გრაფიკები ----------24 გრაფ.
8. გრუნტის სიმკვრივის მნიშვნელობების სტატისტიკური დამუშავება (დანართი 1, 2 და 3)
9. გრუნტის სიმტკიცის მახასიათებლების სტატისტიკური დამუშავება (დანართი 4 და 5)

III გრაფიკული მასალა

10. უბნის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში დატანით ---------- ფ.1
11. ჭაბურღილების გეოლოგიური ჭრილები ----------ფ.2 - 3
12. პირობითი აღნიშვნები ---------- ფ.4

ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური დასკვნის შესადგენად

ობიექტის დასახელება – სამშენებლო ნაკვეთის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შეფასება.

დამკვეთი – შპს „ბოჟიტორი“ (დირექტორი ნესტან ბუცხრიკიძე).

ობიექტის მდებარეობა – ქ. თბილისი, მარიჯანის ქ.№2 (ს/კ 01.14.03.039.007).

დაპროექტების სტადია – წინასაპროექტო დოკუმენტაცია.

საპროექტო შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – მეორე.

უბანზე გათვალისწინებულია მიწის ზემოთ 27 სართულიანი შენობის მშენებლობა, მიწისქვეშა 2 სართულით.

გთხოვთ თქვენს ხელთ არსებული საარქივო მასალების მონაცემების საფუძველზე, შეგვიდგინოთ საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასახასიათებლად და დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების საკითხის გასარკვევად.

საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა წარმოდგენილი იქნეს აკინძული 2 ეგზემპლარად და ელექტრონულ ვერსიაში.

დანართი: მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში

დავალება გასცა ნ. ბუცხრიკიძე

წინასწარი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა

ქ. თბილისში, მარიჯანის ქ.№2-ში (ს/კ 01.14.03.039.007) სამშენებლოდ გამოყოფილი მიწის ნაკვეთის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესაფასებლად არსებული საარქივო მასალების გამოყენების საფუძველზე

შპს „ბოჟიტორის“ (დირექტორი ნესტან ბუცხრიკიძე) დაკვეთით (ხელშ.№46/2023) შპს „გეოინჟკომპლექსის“ მიერ, 2023 წლის მაისში, შედგენილი იქნა საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა ქ. თბილისში, მარიჯანის ქ.№2-ში სამშენებლოდ გამოყოფილი მიწის ნაკვეთის შესაფასებლად წინასაპროექტო დოკუმენტაციის სტადიისთვის.

ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულია მიწისზედა 27 სართულიანი და მიწისქვეშა 2 სართულიანი შენობის მშენებლობა.

დასკვნის შედგენის მიზანს წარმოადგენდა სამშენებლოდ გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დახასიათება, არსებული საარქივო მასალების მონაცემების საფუძველზე და მომავალი საპროექტო შენობის დაფუძნების საკითხის გადასაწყვეტად.

სამშენებლო უბანი მდებარეობს ქ. თბილისში, საბურთალოზე, მარიჯანის ქ.№2-ში. ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული უბნის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში. სს „საქქალაქმშენპროექტის“ საინჟინრო კვლევების განყოფილებამ, 2005 წლის აგვისტოში, მოცემულ უბანზე ჩაატარა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა საცხოვრებელი კომპლექსის დაფუძნების საკითხების გადასაწყვეტად. ამავე წლის ნოემბერში უბანზე დამატებით გაიბურღა 2 ჭაბურღილი ძირითადი ქანების ეროზიული ზედაპირის დასაზუსტებლად.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის მასალები ინახება შპს „გეოინჟკომპლექსის“ არქივში (სს „საქქალაქმშენპროექტის“ სამართალმემკვიდრე) და გამოყენებულია დასკვნის შესადგენად.

მოცემულ უბანზე ამჟამად განთავსებულია მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსი, რომლის დემონტაჟი გათვალისწინებულია პროექტით.

პნ 01.05-08-ის („სამშენებლო კლიმატოლოგია“) თანახმად, რაიონის (საბურთალო) ძირითადი კლიმატური მახასიათებლები შემდეგია:

- აბსოლუტური მინიმუმი –23°C;
- აბსოლუტური მაქსიმუმი +40°C;
- ნალექების რაოდენობა წელიწადში – 560 მმ;

– თოვლის საფარის დღეთა რიცხვი – 14;
– ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ – 37 მ/წმ;
– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ – W_0=0,85 კპა;
– გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – არ გააჩნია.

გეომორფოლოგიური პირობების მიხედვით, სამშენებლო მოედანი განთავსებულია საბურთალოს დეპრესიაში, რაც განაპირობებს დეპრესიის ღერძული ნაწილის სიახლოვეს მეოთხეული გრუნტების – ნაყარი და თიხოვანი გრუნტების მაქსიმალური სიმძლავრით გამოვლინებას. ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ, დასკვნის ტექნიკურ ნაწილს ერთვის გრაფიკული მასალა – ჭაბურღილების გეოლოგიური ჭრილები.

წარმოდგენილი ჭაბურღილების სვეტების გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილების მონაცემების მიხედვით, სამშენებლო მოედანზე გამოიყო გრუნტების 3 ლითოლოგიური ტიპი – 5 ფენა.

ქვემოთ, გრუნტების დახასიათება მოცემულია ზემოდან ქვემოთ, ჭრილში წარმოდგენილი ფენების მიხედვით (5 ჭაბურღილიდან 4 ჭაბურღილი გაბურღულია სამშენებლო ქვაბულში – 484,10–484,80 აბსოლუტური ნიშნულებიდან, ერთი ჭაბურღილი 500,40 მ აბსოლუტური ნიშნულიდან, ბუნებრივი რელიეფიდან).

ფენა 1 – ტექნოგენური გრუნტი (tQ_{IV}) – სამშენებლო ნაგვის, ძირითადი ქანების ნატეხოვანი მასალის, კენჭების და თიხოვანი გრუნტების ნარევი, სუსტად შეკავშირებული.

ნაყარი გრუნტის სიმძლავრე 2,5–14,70 მ-ია.

ფენა 2 – (dQ_{IV}) დელუვიური გენეზისის, მუქი ყავისფერი თიხნარები, წვრილი ღორღის და ხვინჭის მინარევით.

ფენა 2-ის გრუნტი მეოთხეული ნალექების საერთო სიზრქიდან გამოყოფილია კონსისტენციის მიხედვით (გრუნტის წყლის დონემდე) – ნახევრადმყარი–ძნელპლასტიკური გრუნტი, სიმძლავრით 4,2–5,5 მ.

ფენა 2|-ის გრუნტი – იგივე გენეზისის რბილპლასტიკური თიხოვანი გრუნტი, სიმძლავრით 6,8–11,5 მ.

ფენა 3 – ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანები – არგილითების და ქვიშაქვების მორიგეობა. ძირითადი ქანები ძლიერ გამოფიტულია და მთლიანობაში ეს ფენა (ფენა 3) შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ელუვიონი, სიმძლავრით 2,4–2,5 მ.

ფენა 4 – ზედა ეოცენის (P_2^3) ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანები – არგილითების და ქვიშაქვების მორიგეობა.

სამშენებლო უბანზე გრუნტის წყალი გამოვლინდა ყველა ჭაბურღილში 8,0–15,5 მ სიღრმეზე, დელუვიურ თიხნარებში.

სამშენებლო მოედანზე გავრცელებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები შესწავლილია ლაბორატორიულად.

დამატებით განსაზღვრულია გრუნტების დამარილიანების ხარისხი, რომლის მიხედვით გრუნტები არადამარილიანებულია.

გრუნტის წყლის სინჯების ქიმიური ანალიზების თანახმად, გამოკვლეული წყალი არააგრესიულია ნებისმიერი სიმკვრივის ბეტონების მიმართ.

დასკვნა და რეკომენდაციები

ზემოთ განხილულის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო მოედანი დამაკმაყოფილებელ პირობებშია. უბანზე და მის მახლობლად არ აღინიშნება არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები, თუმცა ნაყარი გრუნტის სხვადასხვა სიმძლავრე, დელუვიური თიხოვანი გრუნტების მომეტებული და ძლიერი კუმშვადობა, სირთულეს ქმნის დაფუძნების თვალსაზრისით.

   საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სამშენებლო მოედანი აღნიშნული არახელსაყრელი ფაქტორების გათვალისწინებით, სნ და წ 1.02.07-87 მე-10 დანართის თანახმად მიეკუთვნება – II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

2. სამშენებლო მოედნის ამგებ გრუნტში გამოყოფილი ფენები წარმოადგენენ დამოუკიდებელ საინჟინრო გეოლოგიურ ელემენტებს (**სგე**):

   I სგე – ფენა 1-ის ნაყარი გრუნტი;

   II სგე – ფენა 2-ის ძნელპლასტიკური თიხოვანი გრუნტი;

   III სგე – ფენა 2|-ის რბილპლასტიკური თიხოვანი გრუნტი;

   IV სგე – ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 3);

   V სგე – ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 4).

3. სამშენებლო მოედნის გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე და ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით (სართულიანობა, 2 მიწისქვეშა სართული), ოპტიმალური ვარიანტია ბურღვით-ნატენი საყრდენი ხიმინჯების გამოყენება, **V სბე**-ის ძირითად ქანებში შესვლით.

4. ფუძის გაანგარიშებისათვის, ქვემოთ ცხრილში შეტანილია საანგარიშო-ნორმატიული მახასიათებლები.

№	გრუნტების მახასიათებლები	საანგარიშო მნიშვნელობები				
		I სბე ფენა 1	**II სბე ფენა 2**	**III სბე ფენა 2ˡ**	**IV სბე ფენა 3**	**V სბე ფენა 4**
1	სიმკვრივე, ρ გ/სმ^3	1,73	1,89	2,0	2,0	2,3
2	ხვედრითი შეჭიდულობა, c კპა (კგძ/სმ^2)	–	23(0,23)	20(0,20)	–	–
3	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ°	–	22	17	–	–
4	დეფორმაციის მოდული, E მპა (კგძ/სმ^2)	9,0(90)	16,5(165)	13,5(135)	35(350)	–
5	საანგარიშო წინაღობა, R_0 კპა (კგძ/სმ^2)	120(1,2)	250(2,5)	180(1,8)	450(4,5)	–
6	სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_{c,n}$ კპა (კგძ/სმ^2)	–	–	–	–	9000 (90)
7	საგების კოეფიციენტი, k კგძ/სმ^3	1,5	2,5	2,0	10,0	100
8	პუასონის კოეფიციენტი, μ	0,35	0,35	0,35	0,27	0,25

5. გრუნტის წყლის დონის მერყეობის ამპლიტუდად მიღებული იქნეს ±1,0 მ.

6. პნ 01.01-09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ. თბილისი მდებარეობს 8 ბალიანი სეისმურობის ზონაში.

სეისმური თვისებების მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:

ა) ნაყარი (ფენა 1) – III კატეგორიას;

ბ) დანარჩენი გრუნტები (ფენები 2, 2ˡ, 3, 4) – II კატეგორიას.

სამშენებლო მოედნის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით, განისაზღვროს გრუნტული პირობების მიხედვით.

7. ქვაბულის ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა, მიღებული იქნეს სნ და წ 3.02.01-87-ის 3.11 და 3.15 და სნ და წ III–4–80-ის, მე-9 თავის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ქვაბულის ფერდოები ვაჟა-ფშაველას და მარიჯანის ქუჩების მხრიდან, სათანადო ქანობებით ვერ დამუშავდება და უნდა გატარდეს კონსტრუქციული ღონისძიებები (ქვაბულის ფერდოს გამაგრება ხიმინჯებით ან მთლიანი ნარანდით).

8. დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები, სნ და წ IV–2–82 I–I ცხრილის თანახმად, მიეკუთვნებიან:
   ა) ნაყარი (ფენა 1) – სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას – II ჯგუფს, სიმკვრივით 1773 კგ/მ^3 (რიგ. №24^ა);
   ბ) თიხნარი (ფენა 2) – სამივე სახეობით დამუშავებისას – II ჯგუფს, სიმკვრივით 1890 კგ/მ^3 (რიგ. №33^ბ).

9. ბურღვით-ნატენი ხიმინჯების მოსაწყობად გასაყვანი ჭაბურღილებისთვის, გრუნტების კლასიფიკაცია ჯგუფების მიხედვით, ბურღვის მეთოდის და სიძნელის, აგრეთვე მათი მდგრადობიდან გამომდინარე, აიღება დასახელებული სნ და წ მე-4 კრებულის („ჭაბურღილები“) 4–5 და 4–6 ცხრილებიდან.

10. წინამდებარე დასკვნა შედგენილია წინასაპროექტო დოკუმენტაციითვის საარქივო მასალების საფუძველზე.

მუშა ნახაზების სტადიაზე საჭირო იქნება დამატებითი კვლევის ჩატარება და გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების დაზუსტება, სათანადო საინჟინრო გეოლოგიური დასკვნის შედგენით.

შპს „გეოინჟკომპლექსის“
მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

დანართი: 2005 წელს ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა

ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება – მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი.
დამკვეთი – შპს „მარიჯანი”.
ობიექტის მდებარეობა – ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირის და მარიჯანის ქუჩების გადაკვეთაზე.
ობიექტის მოკლე დასახელება: ახალი მშენებლობა.
დაპროექტების სტადია – „პროექტი”.
შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – მეორე.
დასაპროექტებელი შენობის დახასიათება:

6–14 სართულიანი, სარდაფით (შენობის ზომები დასაზუსტებელია).

I სართულის საპროექტო ნიშნული 493,80 მ.

სარდაფის იატაკის საპროექტო ჩაღრმავება ±0,00-დან –2,8 (491,0 მ).

შენობის ტიპი: რკინაბეტონის მონოლითური კარკასი.

საძირკვლის სავარაუდო ტიპი: რკინაბეტონის ფილა, დატვირთვა 15 ტ/მ^2.

ჩატარდეს მეოთხეული წარმონაქმნების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების ლაბორატორიული განსაზღვრა მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების და სახსტანდარტების შესაბამისად.

ჭაბურღილების რაოდენობა – 3.

კვლევის საორიენტაციო სიღრმე – 20 მ (ან ძირითად ქანებამდე).

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნას აკინძული, 3 ეგზემპლარად.

შენიშვნა: 1. საინჟინრო გეოლოგიური კვლევა ეხება საცხოვრებელი კომპლექსის ერთ-ერთ ბლოკს, ჭაბურღილების განლაგების რაიონში (იხ. ტოპოგეგმა);
2. საძირკვლის ტიპი დაზუსტდება გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე.

დანართი: უბნის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში, საგამოკვლევო ჭაბურღილების დატანით – 1 ფურც.

დამკვეთი დ. ქიმერიძე

მიწერილობა

ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის და მარჯანის ქუჩის გადაკვეთაზე, მრავალსართულიანი კომპლექსის მშენებლობის უბანზე საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია სნ და წ 1.02.07-87 (საინჟინრო კვლევები მშენებლობებისათვის) პ. 1,19-ის მე-2 შენიშვნისა და პ. 1.21 , სნ და წ 2.02.01–83 (შენობა-ნაგებობათა ფუძეები) სნ და წ 2.02.03–85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები) და სახსტანდარტი 25100-82-ის მოთხოვნათა საფუძველზე.

დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია დართულ ტექნიკურ დავალებაში.

უშუალოდ უბანზე, გასულ წლებში შპს „საინჟგეოს" მიერ ჩატარებულია უბნის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, რომლის მიხედვით კომპლექსის დაფუძნება გათვალისწინებულია ხიმინჯოვანი საძირკვლების მეშვეობით, რის გამოც არ იყო შესწავლილი ძირითადი ქანების მფარავი, საკმაოდ დიდი სიმძლავრის თიხოვანი ნალექების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები.

დაპროექტების სტადიაში დადგა საკითხი საძირკვლების ტიპის შეცვლისა. ამასთან დაკავშირებით დამკვეთთან შეთანხმებით, გადაწყდა ჭაბურღილების გაბურღვა, უბნის ამგები თიხოვანი გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების განსასაზღვრავად.

აღნიშნული ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა გაიბურღოს 3 ჭაბურღილი, მექანიკური სვეტური მეთოდით, დიამეტრით 160 მმ-მდე, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

ჭაბურღილების სიღრმე განისაზღვროს, ტექნიკური დავალებით მოცემული დაფუძნების ვარიანტიდან გამომდინარე, ან ძირითადი ქანების ეროზიული ზედაპირის განლაგებით.

ჩატარდეს საძირკვლის ფუძის გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული შესწავლა. გრუნტის ნიმუშები აღებული იქნას იმ მოცულობით, რომ უზრუნველყოფილი იქნას თითოეული საინჟინრო გეოლოგიური ელემენტისათვის საჭირო რაოდენობის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების მიღება და მათი სტატისტიკური დამუშავება.

რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ გრუნტის წყლის აგრესიული თვისებების განსაზღვრის მიზნით, აღებული იქნას წყლის სინჯები სათანადო რაოდენობით და ჩატარდეს ქიმიური ანალიზები.

ტექნიკური დოკუმენტაცია შედგეს სნ და წ 1.02.07–87 მე-9 დანართის მოთხოვნათა დაცვით და აიკინძოს 3 ეგზემპლიარად.

შეადგინა:
საინჟინრო კვლევების განყოფილების
მთავარი გეოლოგი ბ. შუსტოვი

ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის და მარიჯანის ჭუჩის გადაკვეთაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

შპს „მარიჯანის" დაკვეთით (დაკვ. №118/2005) სს „საქქალაქმშენპროექტის" საინჟინრო კვლევების განყოფილებამ, 2005 წლის აგვისტოში, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის და მარიჯანის ჭუჩის გადაკვეთაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის უბანზე, ჩაატარა დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა უბნის ამგები თიხოვანი გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა და დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების ვარიანტის შერჩევა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შპს „საინჟგეოს" მიერ შედგენილი საინჟინრო გეოლოგიური ანგარიშით შენობის დაფუძნება ტექნიკური დავალების თანახმად, უნდა განხორციელებულიყო ხიმინჯოვანი საძირკვლების მეშვეობით, რის გამოც არ იყო სათანადოდ შესწავლილი ძირითადი ქანების მფარავი თიხოვანი და ნაყარი გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები.

ნაგებობის ტექნიკური მახასიათებლები და კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით მოცემულია თანდართულ ტექნიკურ დავალებაში.

ჭაბურღილების რაოდენობა და მდებარეობა განისაზღვრა დამკვეთის მიერ გადმოცემულ 1:500 მასშტაბიან ტოპოგეგმაზე, რის საფუძველზეც შედგა მიწერილობა და ჩატარდა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, შენობის 14 სართულიანი ბლოკის კონტურის ფარგლებში, ქვაბულში გაიბურღა 3 ჭაბურღილი 20,5–23,0 მ-ის სიღრმის. შესრულებული სამუშაოს საერთო მოცულობა 65,5 გრძივი მეტრია.

ბურღვა ჩატარდა თვითმავალი საბურღი დანადგარით „უგბ – 1 ვს" დიამეტრით 160 მმ-მდე, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

უბანზე გავრცელებული თიხოვანი და ნაყარი გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად, ჭაბურღილებიდან აღებული იქნა დაურღვეველი სტრუქტურის 28 ნიმუში (ნიმუშების აღების სიღრმეები მოცემულია ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიურ სვეტებზე).

გრუნტის წყლების რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიული თვისებების განსასაზღვრავად, ჭაბურღილებიდან აღებული იქნა წყლის სამი სინჯი.

გრუნტის ნიმუშების გამოცდა და წყლის სინჯების ქიმიური ანალიზები ჩატარდა საინჟინრო კვლევების განყოფილების ლაბორატორიაში. ლაბორატორიული კვლევის შედეგები ერთვის დასკვნას.

საგამოკვლევო გამონამუშევრების მიბმა და პროფილების აგება შეასრულა განყოფილების ტოპოგრაფმა მ. მამუკაშვილმა.

საველე სამუშაოები ჩატარდა ინჟინერ-გეოლოგ ნ. ილაშვილის ხელმძღვანელობით.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული დასაპროექტებელი შენობა მდებარეობს ვაჟა-ფშაველას გამზირისა და მარიჯანის ჭუჩების გადაკვეთაზე. გეგმაში აქვს რუსული ანბანის „Г"-სებური ფორმა. ცენტრალურ ნაწილში გათვალისწინებულია 14 სართულიანი, ხოლო პერიფერიულ ნაწილებში 6 სართულიანი ბლოკების მშენებლობა.

ჩრდილოეთიდან შენობას ესაზღვრება ვაჟა-ფშაველას გამზირი.

დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან – მშენებარე საცხოვრებელი სახლები, სამხრეთიდან – სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრის ტერიტორია.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო უბანი წარმოადგენს საბურთალოს დეპრესიის ცენტრალურ ნაწილს.

ამჟამად დასაპროექტებელი სახლის კონტურის ფარგლებში ამოღებულია 5,0 მ-მდე სიღრმის სამშენებლო ქვაბული და მიმდინარეობს მისი შემდგომი დამუშავების პროცესი (მიწის სამუშაოები).

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის მონაცემების საფუძველზე შედგენილია ჭაბურღილების და უბნის გეოლოგიური ჭრილები.

როგორც დართული მასალიდან ჩანს, გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილია 5 ფენა: ნაყარი გრუნტი (ფენა 1), ნახევრადმყარი-მყარპლასტიკური კონსისტენციის თიხნარი (ფენა 2), რბილპლასტიკური კონსისტენციის თიხნარი (ფენა 2^1), ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 3) და, ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 4).

ფენა 1 – ნაყარი გრუნტი წარმოდგენილია სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვის,კლდოვანი ქანების ნატეხოვანი მასალის (ღორღი და ლოდები), კენჭების და თიხოვანი გრუნტების ნარევით.

ნაყარი გრუნტი ხასიათდება არაერთგვაროვნებით – ზოგ ადგილებში ჭარბობს ნატეხოვანი მასალა, ზოგან – თიხოვანი გრუნტები (ნატეხოვანი მასალის მინარევით) განსხვავებული ტენიანობით და კონსისტენციის ცვალებადობით.

ნაყარი გრუნტის არაერთგვაროვნება ფიქსირდება ქვაბულის ფერდოებზეც.

ნაყარი გრუნტი გავრცელებულია მიწის ზედაპირიდან (ქვაბულის ძირიდან) 2,5–8,0 მ-ის სიღრმემდე. მისი მაქსიმალური სიმძლავრე აღინიშნა №3 ჭაბურღილის რაიონში (8,0 მ).

ფენა 2 – წარმოდგენილია დელუვიური გენეზისის (dQ_{IV}), ნახევრადმყარი-მყარპლასტიკური კონსისტენციის, მუქი ყავისფერი თიხნარებით, წვრილი ღორღის და ხვინჭის მინარევით. ფენაში სკელეტური მასალის (ღორღის, ხვინჭა) შემცველობა ფართო საზღვრებში იცვლება, ძირითადათ – 15–25%-ის ფარგლებშია.

ფენა 2-ის გრუნტი მეოთხეული ნალექების საერთო სიზრქიდან გამოყოფილია კონსისტენციის მიხედვით და გავრცელებულია გრუნტის წყლის დონემდე (კაპილარულ აწევამდე), მიწის ზედაპირიდან 7,5–8,0 მ-მდე. №3 ჭაბურღილში, ვინაიდან 8,0 მ სიღრმემდე (თითქმის გრუნტის წყლებამდე) გავრცელებულია ნაყარი გრუნტი, თიხოვანი გრუნტის ეს ფენა გამოყოფილი არ არის.

№№1, 2 ჭაბურღილებში ამ ფენის სიმძლავრე 4,2–5,5 მ-ია.

ფენა 2^1-ის გრუნტი – იგივე დელუვიური გენეზისის, რბილპლასტიკური კონსისტენციის ყავისფერი თიხნარი, წვრილი ღორღის და ხვინჭის 15–25% ჩანართებით, ალაგ-ალაგ მცირე სიმძლავრის (10–20 სმ) ქვიშნარის და წვრილი ღორღის შუაშრეებით და ლინზებით.

ამ ფენის სიმძლავრე 7,5–11,5 მ-ია და გავრცელებულია გრუნტის წყლის ცირკულაციის ზონაში, ან მის მახლობლად (კაპილარული აწევის ზონა).

ფენა 3 – ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანები – არგილიტების და ქვიშნარების მორიგეობა. ამ ფენის გრუნტი ძლიერ გამოფიტულია, ალაგ-ალაგ გათიხებულია (არგილიტების სიჭარბისას), ალაგ-ალაგ წარმოდგენილია ცალკეული ნატეხების გროვების სახით. თუმცა ქვიშაქვის ფენები შედარებით ნაკლებადაა გამოფიტული. მთლიანობაში, ეს ფენა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ელუვიონი – ქანების გამოფიტვის ქერქის ნატეხოვანი ზონა.

ძლიერ გამოფიტული ფენის სიმძლავრე ჭაბურღილებში 2,4–2,5 მ-ია.

ფენა 4 – ზედა ეოცენის (P_2^3) ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანები – არგილიტების და ქვისაქვების მორიგეობა.

ამ ფენის ძირითადი ქანები ნაკლებად გამოფიტულია და გამოფიტვის ხარისხიც სიღრმეში თანდათან მცირდება (გამოფიტვის ქერქის ნაპრალოვანი ზონა). აქაც, უნდა აღინიშნოს, რომ არგილიტები უფროა დაზიანებული გამოფიტვისაგან, ვიდრე ქვიშაქვები, თუმცა შედარებით მე-3 ფენის არგილიტებთან, გაცილებით საღია.

ორივე ფენის ძირითად ქანებში, არგილიტების და ქვიშაქვების პროცენტული შემცველობა დაახლოვებით თანაბარია (ზოგან ჭარბობს არგილიტებ, ზოგან – ქვიშაქვები).

გამოკვლეულ უბანზე გრუნტის წყალი გამოვლინდა სამივე ჭაბურღილში, მიწის ზედაპირიდან 8,0–8,6 მ სიღრმეზე, დელუვიურ თიხნარებში. წყლის გამოვლინების და დამყარების დონეები ერთნაირია.

გრუნტის წყლის ცირკულაცია დაკავშირებულია თიხნარებთან და გენეტიურად წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციის შედეგს. არ არის გამორიცხული მის კვებაში გარკვეულ როლს ასრულებს ძირითადი ქანების ნაპრალოვანი და ტექნოგენური წყლებიც.

ვინაიდან ბურღვითი სამუშაოები დაემთხვა წლის მშრალ პერიოდს (აგვისტო) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წლის ნალექიან პერიოდში გრუნტის წყლის დონე მოიმატებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გრუნტის წყლის დონის აწევის მაქსიმალურ დონედ მიღებული იქნას +1,0 მ კვლევის დროს დაფიქსირებულ დამყარების დონეებთან შედარებით.

როგორც დასკვნის შესავალ ნაწილშია აღნიშნული, უბანზე გავრცელებული გრუნტებიდან აღებულია დაურღვეველი სტრუქტურის 28 ნიმუში, აქედან:

– 10 ნიმუში აღებულია ფენა 1-ის ტექნოგენური გრუნტიდან;
– 6 ნიმუში – ფენა 2-ის თიხოვანი გრუნტიდან;
– 12 ნიმუში – ფენა 2¹-ის თიხოვანი გრუნტიდან.

ფენა 1-ის გრუნტისათვის განისაზღვრა 10 ფიზიკური სრული კომპლექსი.

ფენა 2-ის თიხოვანი გრუნტისათვის ჩატარდა 6 კომპრესიული და 6 ძვრაზე გამოცდა.

ფენა 2¹-ის თიხოვანი გრუნტისათვის ჩატარდა, ასევე, 6 კომპრესიული და 6 ძვრაზე გამოცდა.

გრუნტებისათვის დამატებით განისაზღვრა დამარილიანების ხარისხი (8 შერჩევით ქიმიური ანალიზი).

ლაბორატორიული გამოცდების შედეგები ერთვის დასკვნას გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კრებსითი ცხრილის და კომპრესიული და ძვრაზე გამოცდების გრაფიკების სახით.

მოსახერხებელი გამყენებისათვის, ქვემოთ 1 ცხრილში, კრებსითი ცხრილიდან ამოკრებილია სამივე ფენის გრუნტის ძირითადი ფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობის დიაპაზონი და გამოთვლილია მათი საშუალო სიდიდეები.

ცხრილი 1

	ფიზიკური მახასიათებლები			ბანზ.	მიღებულ სიდიდეების დიაპაზონი			საშუალო არითმეტიკული (ნორმატიული) მნიშვნელობა		
					ფენა 1	ფენა 2	ფენა 2'	ფენა 1	ფენა 2	ფენა 2'
1	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	–	0,13–0,19	0,08–0,15	0,08–0,15	0,16	0,12	0,11
2	ტენიანობა		W	%	18,2–23,8	19,9–24,0	21,2–27,1	21,8	21,7	24,9
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	1,67–1,77	1,86–1,94	1,94–2,07	1,73	1,89	2,00
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1,41–1,46	1,50–1,60	1,53–1,71	1,43	1,56	1,59
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2,71	2,70	2,70	2,71	2,70	2,70
4	ფორიანობა		n	%	46,3–47,8	41,5–44,4	36,7–43,3	47,1	42,3	40,8
5	ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,862–0,915	0,688–0,800	0,579–0,705	0,890	0,735	0,690
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	–	0,02–0,20	0,14–0,42	0,52–0,75	0,11	0,28	0,62
7	ტენიანობის ხარისხი		S_r	–	0,54–0,72	0,76–0,82	0,92–1,00	0,62	0,80	0,96

როგორც ცხრილიდან ჩანს, მართალია ფენა 1-ის გრუნტი პლასტიკური რიცხვის საშუალო მნიშვნელობის მიხედვით (Ip=0,16) მიეკუთვნება თიხნარს, მაგრამ 3 შემთხვევაში (10 განსაზღვრიდან) აღინიშნა თიხაც (Ip=0,18–0,19).

ნაყარი ხასიათდება გრუნტის და მშრალი გრუნტის დაბალი სიმკვრივეებით (შესაბამისად ρ=1,67–1,77 გ/სმ³ და ρ_d=1,41–1,46 გ/სმ³) და ფორიანობის და ფორიანობის კოეფიციენტის მაღალი მნიშვნელობით (შესაბამისად n=46,3–47,8% და e=0,862–0,915).

გრუნტის ტენიანობა W=18,2–23,8%-ის ფარგლებშია, ხოლო კონსისტენცია – ნახევრადმყარია (I_L=0,02–0,20, $I_{L საშ}$=0,11) და ტენიანობის ხარისხის მიხედვით არასრულად წყალგაჯერებულია (S_r=0,62<0,8).

მხედველობაში ვიღებთ იმ გარემოებას, რომ ნაყარ გრუნტში ხშირ შემთხვევაში აღინიშნება მსხვილ ჩანართების სიჭარბე (ნატეხოვანი გრუნტი თიხოვანი შემავსებლით, სამშენებლო ნაგავი) და ლაბორატორიული გამოკვლევით ძირითადი ფიზიკური მახასიათებლები იცვლება ფართო ინტერვალში, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ფენა 1-ის ნაყარი გრუნტი ხასიათდება არამკვრივი და არაერთგვაროვანი აგებულებით.

ფენა 2-ის თიხოვანი გრუნტი მიეკუთვნება თიხნარს (Ip=0,08–0,15), რომლის კონსისტენცია მოიცავს დიაპაზონს – ნახევრადმყარი-მყარპლასტიკური (I_L=0,14–0,42, $I_{L საშ}$=0,28).

გრუნტის ტენიანობის ხარისხი 3 შემთხვევაში მეტია კრიტერიუმზე 0,8 (ფორები წყალგაჯერებულია), 3 შემთხვევაში ნაკლებია კრიტერიუმზე 0,8 (ფორები არასრულად წყალგაჯერებულია).

ფენა 2'-ის თიხოვანი გრუნტიც, აგრეთვე მიეკუთვნება თიხნარს (Ip=0,08–0,15). ამ ფენის თიხნარი რბილპლასტიკურია (I_L=0,52–0,75, $I_{L საშ}$=0,62).

გრუნტის ტენიანობის ხარისხი ყველა შემთხვევაში S_r=0,92–1,00>0,8 ($S_{r საშ}$=0,96), რაც მიუთითებს გრუნტის ფორების სრულ წყალგაჯერებაზე.

ცხრილში მოცემული საშუალო სიდიდეები შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც ნორმატიული (საანგარიშო).

გამონაკლისს წარმოადგენს გრუნტის სიმკვრივე „ρ", რადგანაც გრუნტის სიმკვრივის სიდიდე შედის ფუძის ანგარიშის ფორმულაში, სნ და წ 2.02.01–83 მოთხოვნის შესაბამისად, ჩატარდა მიღებული მნიშვნელობების სტატისტიკური დამუშავება სახსტანდარტი 20522–75-ის მოცემული მეთოდიკით და მიღებულია ამ მახასიათებლის საანგარიშო მნიშვნელობები.

სტატისტიკური დამუშავების შედეგები ერთვის დასკვნას №№1, 2, 3 დანართების სახით. ამ მახასიათებლის საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია დასკვნით ნაწილში.

ფენა 2 და ფენა 2ˡ-ის თიხოვანი გრუნტებისათვის ჩატარდა 6–6 კომპრესიული გამოცდა ბუნებრივი მდგომარეობის გრუნტებისათვის, 0,5 კგძ/სმ^2 დატვირთვის საფეხურებით, დატვირტვის 4,0 კგძ/სმ^2-მდე აყვანით. აქვე შევნიშნავთ, რომ ფენა 1-ის გრუნტისათვის კომპრესიული და ძვრაზე გამოცდები ვერ მოხერხდა (მონოლითიდან საცდელი რგოლებით ნიმუშის გამოჭრა ვერ ხერხდება, მსხვილი ჩანართების გამო).

ქვემოთ ცხრილ 2-ში შეტანილია ორივე ფენის თიხოვანი გრუნტის ჯდენის მოდულის სიდიდეები 3,0 კგძ/სმ2 დატვირთვაზე (დატვირთვა, რომლის დროსაც ფასდება გრუნტის კუმშვადობა ℓp-ს მიხედვით) და დეფორმაციის მოდულის მნიშვნელობები 1,0–2,0 კგძ/სმ^2 დატვირთვის ინტერვალში.

ცხრილი 2

№№	ჭაბურღილის №№		ნიმუშების აღების სიღრმე, მ-ში		ბრაფიკის №		ჯდენის მოდული ℓp მმ/მ P=3,0 კგძ/სმ^2 დროს		დეფორმაციის მოდული E მპა, P=0,1–0,2 მპა	
	ფენა 2	ფენა 2ˡ	ფენა 2	ფენა 2ˡ	ფენა 2	ფენა 2ˡ	ფენა 2	ფენა 2ˡ	ფენა 2	ფენა 2ˡ
1	1	1	3,0	12,0	1	4	48	67	11,8–15,5–18,1 (15,1)	9,5–12,5–14,0 (12,0)
2	1	1	5,0	14,0	2	5	47	60	15,5–18,1–22,0 (18,5)	10,5–15,5–15,5 (13,8)
3	1	2	7,0	12,5	3	9	59	77	9,4–13,0–15,1 (12,5)	8,6–12,2–14,0 (11,6)
4	2	2	4,0	14,0	6	10	42	58	11,0–18,9–20,5 (17,5)	9,9–17,3–20,6 (15,9)
5	2	2	5,5	16,5	7	11	39	71	13,6–18,9–22,5 (18,3)	9,2–11,2–16,2 (12,2)
6	2	3	7,0	14,0	8	12	49	56	10,6–16,9–20,2 (15,9)	11,5–14,6–17,6 (14,6)
საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა							31	39	16,3	13,7

შენიშვნა: დეფორმაციის მოდულის სვეტში, ფრჩხილებში მოცემულია საშუალო მნიშვნელობები 0,1–0,2 მპა (1,0–2,0 კგძ/სმ^2) დატვირთვის ინტერვალში.

როგორც ცხრილიდან ჩანს ფენა 2-ის გრუნტი მიეკუთვნება მომეტებულად კუმშვადს, ვინაიდან P=3,0 კგძ/სმ^2 დატვირთვისას ჯდენის მოდულის საშუალო მნიშვნელობა ℓp=47 მმ/მ.

ფენა 2ˡ-ის გრუნტი მიეკუთვნება ძლიერ კუმშვადს, ვინაიდან იგივე დატვირთვისას ℓp=65 მმ/მ.

იგივე მნიშვნელობები 1,5 კგძ/სმ^2 დატვირთვაზე (გრუნტზე გადაცემული სავარაუდო დატვირთვა) შესაბამისად ტოლია ℓp=35 მმ/მ, ℓp=45 მმ/მ, რაც მიღებული იქნას საანგარიშოდ.

დეფორმაციის მოდულის საშუალო მნიშვნელობები ფენა 2 და ფენა 2^1-ის გრუნტებისათვის შესაბამისად ტოლია E=16,3 მპა (163 კგძ/სმ^2) და E=13,7 მპა (137 კგძ/სმ^2).

ძვრაზე გამოცდები ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშებზე (შეესაბამება წყალგაჯერებულ მდგომარეობას), 0,05–0,1–0,15 მპა დატვირთვებზე.

მიღებულია შემდეგი მნიშვნელობები:

ფენა 2-ის გრუნტებისათვის:

შინაგანი ხახუნის კუთხე φ=21–24°;

ხვედრითი შეჭიდულობა c=24–30 კპა (0,24–0,30 კგძ/სმ^2).

ფენა 2^1-ის გრუნტებისათვის:

შინაგანი ხახუნის კუთხე φ=17–20°;

ხვედრითი შეჭიდულობა c=19–26 კპა (0,19–0,26 კგძ/სმ^2).

ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების მისაღებად, ორივე ფენის გრუნტებისათვის ჩატარდა ლაბორატორიულად მიღებული შედეგების სტატისტიკური დამუსავება, სახსტანდარტი 20522–75-ში მოცემული მეთოდიკით. სტატისტიკური დამუშავების მასალები ერთვის დასკვნას 4 და 5 დანართის სახით, ხოლო მნიშვნელობები მოცემულია დასკვნით ნაწილში.

ძირითადი ქანების მდგენელი ფენების – არგილიტების და ქვიშაქვების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები მიმდინარე კვლევისას არ განსაზღვრულა. მათი გამოცდების მონაცემები აღებულია მახლობელ უბანზე (იზოტოპების ქარხნის ტერიტორია, ობიექტი: „СИ-ФИ-АИ Джоржия") ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევებისას და სხვა ობიექტებზე, ანალოგიურ გრუნტებზე ლაბორატორიული გამოცდების მონაცემების მიხედვით (მასალები ინახება განყოფილების არქივში, საარქივო №32ა/257).

ამ მასალების მიხედვით სიმტკიცის ზღვრის მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_c=160–280 კგძ/სმ^2-ის ფარგლებშია (საშუალო სიმტკიცის კლდოვანი გრუნტი), სიმკვრივე ρ=2,4 გ/სმ^3.

იგივე მნიშვნელობები არგილიტებისათვის R_c=20–40 კგძ/სმ^2-ის ფარგლებშია (დაქვეითებული და დაბალი სიმტკიცის ნახევრად კლდოვანი გრუნტი), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არგილიტების თხელშრეულობის გამო ნიმუშების აღება გაძნელებულია და სიმტკიცის ზღვარი ხშირ შემთხვევაში განსაზღვრულია არაპირდაპირი – სფერული ინდენტორების გზით.

ძირითადი ქანების მდგენელი ორივე ფენის გრუნტი წყალში დარბილებადია.

ძირითად ქანებზე დაფუძნებისას, ბურღვით-ნატენი ხიმინჯის გამოყენების შემთხვევაში, სიმტრკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში მიიღება არაცალკეული ფენისათვის, არამედ ძირითადი ქანების მთლიანი მასივისათვის. ასეთ შემთხვევაში ძირითადი ქანების $R_{c,n}$-ს მნიშვნელობად მიზანშეწონილია მიღებულ იქნას მდგენელი ფენების გასაშუალებული მნიშვნელობა:

$$R_{c,n} = \frac{R_{c.ქვიშაქ.} + R_{c.არგილ.}}{2} = \frac{220+30}{2} = \frac{250}{2} = 125 \text{ კგძ/სმ}^2$$

ვინაიდან ლაბორატორიული გამოცდები ტარდება კერნიდან გამოჭრილი მცირე ზომის ნიმუშებზე, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ ასახავს რეალურ სურათს ძირითადი ქანების მთლიანი მასივისათვის, მათი ბუნებრივი წოლის თავისებურებების გათვალისწინებით (ნაპრალოვნება, შრეობრიობა), ამიტომ ანგარიშებისათვის შეიძლება რეკომენდებულ იქნას $R_{c,n}$=9,0 მპა (90 კგძ/სმ^2).

გრუნტის წყლოვანი გამონაჟურის ანალიზების თანახმად (ფენა 1-ის – 2 ანალიზი, ფენა 2-ის – 3 ანალიზი, ფენა 2^1-ის – 3 ანალიზი), ადვილად და საშუალოდ ხსნადი მარილების ჯამური შემცველობა ტოლია:

ფენა 1-თვის – 3,0–3,1%<5% (არადამარილიანებული);

ფენა 2-თვის – 3,3–4,1%<5% (არადამარილიანებული);

ფენა 3-თვის – 3,3–4,5%<5% (არადამარილაინებული).

გრუნტის წყლის სინჯების ქიმიური ანალიზების თანახმად, გამოკვლეული წყალი-გარემო არააგრესიულია ნებისმიერი სიმკვრივის ბეტონების მიმართ (იხ. წყლის სტანდარტული ქიმიური ანალიზის დასკვნა

დასკვნები და რეკომენდაციები

ზემოთ განხილულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო მოედანი იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში. უბანზე და მის მახლობლად არ აღინიშნება არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები, თუმცა ნაყარი გრუნტის სხვადასხვა სიმძლავრე და არაერთგვაროვნება, დელუვიური თიხოვანი გრუნტების მომეტებული და ძლიერი კუმშვადობა, გარკვეულ სირთულეს ქმნის დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების თვალსაზრისით.

   საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, გამოკვლეული უბანი აღნიშნული უარყოფითი ფაქტორების გათვალისწინებით, სნ და წ 1.02.07–87-ის მე-10 დანართის თანახმად მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

2. სამშენებლო მოედნის ამგებ გრუნტებში გამოყოფილი ფენები წარმოადგენენ დამოუკიდებელ საინჟინრო გეოლოგიური ელემენტებს **(სგე)**:

   I **სგე** – ფენა 1-ის ნაყარი გრუნტი;

   II **სგე** – ფენა 2-ის მყარპლასტიკური თიხნარი;

   III **სგე** – ფენა 2^1 -ის რბილპლასტიკური თიხნარი;

   IV **სგე** – ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 3);

   V **სგე** – ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 4).

3. სამშენებლო მოედნის გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე, და დასაპროექტებელი კომპლექსის ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით (სართულიანობა, მიწისქვეშა სართული), შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

   დაფუძნების ვარიანტად რკინაბეტონის ფილის გამოყენება არ მიგვაჩნია შესაძლებლად №3 ჭაბურღილის რაიონში მძლავრი არაერთგვაროვანი ნაყარი ფენის არსებობის (8,0 მ-მდე ამჟამინდელი ქვაბულის ძირიდან) გამო (შენობის ფუძეში სხვადასხვა სიმძლავრის სუსტ გრუნტებზე დაფუძნების პირობები), რაც უნდა დასაბუთდეს შესაბამისი გაანგარიშებით.

   შესაძლებელია შენობის ერთგვაროვან გრუნტებზე დაფუძნება (III **სგე**-ს თიხოვანი გრუნტი), მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა შესრულდეს, ამაჟამად არსებული ქვაბულის ძირიდან, სიღრმეში ჩასვლა 7–8 მ-ზე, რაც პრაქტიკულად გაუმართლებელია.

   საცხოვრებელი კომპლექსის დაფუძნებისათვის ოპტიმალურ ვარიანტად მიგვაჩნია ბურღვით-ნატენი საყრდენი ხიმინჯების გამოყენება, რომელიც დაეყრდნობა V **სგე**-ს ძირითად ქანებს (ფენა 3-ის ძლიერ გამოფიტულ, ელუვირებულ ფენაში გასვლით).

4. ფუძის გაანგარიშებისათვის ქვემოთ მე-3 ცხრილში შეტანილია ყველა აუცილებელი საანგარიშო მახასიათებლები ხუთივე **სბმ**-ს გრუნტებისათვის, მიღებული:

I **სბმ**-სთვის – ლაბორატორიულად მიღებული ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით და სნ და წ 2.02.01–83-ის დანართი 1 ცხრ. 2 და 3-ის და დანართი 3 ცხრ. 5-ის გამოყენებით;

II და III **სბმ**-სთვის – ლაბორატორიულად მიღებული ფიზიკურ-მექანიკური საანგარიშო მახასიათებლების მიხედვით და სნ და წ 2.02.01–83-ის დანართი 3 ცხრ. 3 ცხრილის გამოყენებით;

IV **სბმ**-სთვის – სნ და წ 2.02.01–83-ის დამხმარეს ცხრ. 119-ის გამოყენებით;

V სბმ-სთვის – ანალოგიურ გრუნტებზე, განყოფილების არქივში დაცული, ძირითადი ქანების მრავალრიცხოვანი ლაბორატორიული გამოცდების მიხედვით.

ხუთივე **სბმ**-სთვის – საგების კოეფიციენტი (ჩვეულებრივი საძირკვლებისათვის), აღებულია დამპროექტებლის საანგარიშო თეორიული ცნობარიდან.

ცხრილი 3

რიგითი №№	**სბმ** №№ (ფენის №№)	გ რ უ ნ ტ ე ბ ი ს მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ლ ე ბ ი						
		ბრუნტის სიმკვრივის ρ გ/სმ³, ხვედრითი შეჭიდულობის c კპა (კგძ/სმ²) და შინაგანი ხახუნის კუთხის φ° საანგარიშო მნიშვნელობები (დეფორმაციაზე ანგარიშებისათვის)			დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ²)	საანგარიშო წინაღობა, R_0 კპა (კგძ/სმ²)	სიმტკიცის ზღვრის საანგარიშო მნიშვნელობა წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_{c.n.}$ კპა (ტძ/მ²)	საბების კოეფიციენტი კ კგ/სმ3
		$\frac{\rho_{\|}^1}{\rho_{\|}^2}$	$c_{\|}$	$\varphi_{\|}$				
1	I (1)	$\frac{1,74}{1,72}$	16 (0,16)	17	9,0 (90)	120 (1,2)	–	1,5
2	II (2)	$\frac{1,91}{1,87}$	23 (0,23)	22	16,5 (165)	250 (2,5)	–	3,0
3	III(2¹)	$\frac{2,01}{1,99}$	20 (0,20)	17	13,5 (135)	180 (1,8)	–	2,0
4	IV (3)	2,0	–	–	35 (350)	450 (4,5)	–	10,0
5	V (4)	2,3	–	–	–	–	9000 (900)	100,0

შენიშვნა: ხიმინჯოვანი საძირკვლებისათვის საგების კოეფიციენტის საანგარიშო მნიშვნელობა C_z აიღება სნ და წ 2.02.03–85-ის რეკომენდებული 1 დანართის მითითების მიხედვით.

5. გრუნტის წყლის სარკის ღრმად განლაგების გათვალისწინებით, ის არ შეუქმნის საშიშროებას მიწისქვეშა სართულის ნორმალურ ფუნქციონირებას.
6. გრუნტის წყალი არ წარმოადგენს აგრესიულ გარემოს რკინაბეტონის კონსტრუქციებისათვის.
7. უბნის დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მომიჯნავე მშენებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები დაფუძნებულია ძირითად ქანებზე ბურღვით-ნატენი ხიმინჯოვანი საძირკვლების საშუალებით.
8. საქართველოს ტერიტორიის ზოგადი სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით, ქ. თბილისი მდებარეობს 8 ბალიანი სეისმურობის ზონაში (საქართველოს არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს 1991 წ. 7 ივნისის №42 ბრძანების დანართი).

   უბნის სეისმურობად მიღებული იქნეს 8 ბალი.
9. ქვაბულის ფერდოს მაქსიმალური დასაშვები დახრა მიღებული იქნეს სნ და წ 3.02.01–87 პ.პ. 3.11, 3.15 და სნ და წ III-4-80 მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
10. დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები სნ და წ IV–2–82 I-I ცხრილის თანახმად მიეკუთვნებიან:
    ა) ნაყარი (ფენა 1) – ყველა სახით დამუშავებისას – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ^3 (რიგ. №24ა);
    ბ) თიხნარი (ფენა 2) – ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით – III ჯგუფს, ბულდოზერით – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1950 კგ/მ^3 (რიგ. №33ბ).
11. ბურღვით-ნატენი ხიმინჯების მოსაწყობად გაყვანილი ჭაბურღილებისათვის, გრუნტების კლასიფიკაცია ჯგუფების მიხედვით, ბურღვის მეთოდისა და სიძნელის, აგრეთვე მათი მდგრადობიდან გამომდინარე, მიღებული იქნეს იგივე სნ და წ მე-4 კრებულის 4–5 და 4–6 ცხრილებიდან.

ინჟინერ გეოლოგი ნ. ილაშვილი

საინჟინრო კვლევების განყოფილების
მთავარი გეოლოგი ბ. შუსტოვი

განყოფილების უფროსი ს. სირაძე

ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის და მარიჯანის ქუჩის გადაკვეთაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის უბანზე ჩატარებული დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

შპს „მარიჯანის" დაკვეთით, ახალი ხელშეკრულების (დაკვ. №178/2005) საფუძველზე, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის და მარიჯანის ქუჩის გადაკვეთაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის უბანზე, 2005 წლის ნოემბერში, სს „საქქალაქმშენპროექტის" საინჟინრო კვლევების განყოფილების მიერ, ჩატარებული იქნა დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ადრე ჩატარებული სამუშაოებით მიღებული გეოლოგიური ჭრილის დაზუსტება, რისთვისაც დამატებული იქნა 2 ჭაბურღილი (ჭაბურღილები №4 და №5). ჭაბ. №4 გაიბურღა ჭაბ. №3-ის მიდამოებში, კვლევის მომენტისათვის ქვაბულში ჩასასვლელ გზაზე, ხოლო ჭაბ. №5, გაიბურღა ქვაბულის ფერდოს თავზე (წარბისზე).

ჭაბურღილების მონაცემებით, ინსტრუმენტალურად აიგო დამატებითი ჭრილები, რომლებზეც ასახულია ქვაბულის სადღეისო მდგომარეობა (2005 წლის ნოემბერი).

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, უბნის გეოლოგიურ აგებულებაში, არსებულ რელიეფის ზედაპირიდან 8,0÷14,8 მ სიღრმემდე მონაწილეობენ ნაყარი გრუნტები, რომლებიც წარმოდგენილი არიან სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვის, კენჭების და თიხოვანი გრუნტების ნარევით. ნაყარი ხასიათდება არაერთგვაროვნებით – ზოგ ადგილებში ჭარბობს ნატეხოვანი მასალა, ზოგან თიხოვანი გრუნტები, განსხვავებული ტენიანობით და კონსისტენციის ცვალებადობით.

ნაყარი გრუნტის არაერთგვაროვნება ფიქსირდება ქვაბულის ფერდობზეც. ნაყარის ქვეშ 18,80–21,60 მ-ის სიღრმემდე გავრცელებულია ნახევრადმყარი-მყარპლასტიკური კონსისტენციის მუქი ყავისფერი თიხნარები, წვრილი ღორღის და ხვინჭის მინარევით.

თიხნარები 18,80–21,60 მ-ის სიღრმიდან შემოფენილი არიან ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანებით – არგილიტების და ქვიშნარების მორიგეობა, რომელიც ძლიერ გამოფიტულია, ალაგ-ალაგ გათიხებულია (არგილიტების სიჭარბისას) ზოგან წარმოდგენილია ცალკეული ნატეხების გროვების სახით.

ძლიერ გამოფიტული ფენის სიმძლავრე 2,5 მ-მდეა, რომლის ქვეშ გავრცელებულნი არიან ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანები.

ზემოთ დასახელებული გრუნტები ანალოგიურია ადრე ჩატარებული კვლევით აღწერილი გრუნტებისა.

მათი იდენტურობის დასამტკიცებლად, საკონტროლოდ, აღებული და გამოკვლეული იქნა ნაყარი და თიხოვანი გრუნტების ნიმუშების გარკვეული რაოდენობა. ჩატარებული იქნა ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრის სრული კომპლექსი, ძვრაზე გამოცდები აღარ ჩატარებულა, ვინაიდან დამატებითმა გამოცდებმა დაადასტურეს აღნიშნული გრუნტების იდენტურობა.

ლაბორატორიული გამოცდების შედეგები ერთვის წინამდებარე დასკვნას.

გრუნტის წყლების დამყარების დონეები დაფიქსირებულია წინა დასკვნაში მითითებულ ნიშნულებზე.

დ ა ს კ ვ ნ ა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლოა დავასკვნათ შემდეგი:

– პროექტირებისათვის გამოყენებული იქნას ძირითად დასკვნაში მითითებული რეკომენდაციები.



ინჟინერ გეოლოგი ნ. ილაშვილი

საინჟინრო კვლევების განყოფილების
მთავარი გეოლოგი ბ. შუსტოვი

განყოფილების უფროსი ს. სირაძე

ს.ს. „საძძალაძმშენპროექტი“ ქ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ.№74	წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები	საინჟინრო კვლევების განყოფილება ბრუნტების და წყლების კვლევის ლაბორატორია

ობიექტის დასახელება

ქ. თბილისი. ვაჟა-ფშაველას გამზირის და მარიჯანის ქუჩის გადაკვეთაზე მრავალსართულიანი კომპლექსი

წყალჯუნქტის დასახელება	ჭაბ. № 1	სინჯის აღების თარიღი: 15. 08. 2005 წ.
სინჯის აღების სიღრმე	h = 8,6 მ	

ლაბ. № 134

ფიზიკური თვისებები

გამჭვირვალობა	შემღვრეული
ფერი	უფერო
ნალექი	უმნიშვნელო
სუნი	უსუნო
გემო	არ გასინჯულა
ტემპერატურა	—

სიხისტე

დასახელება	ბერმანული ბრადუსი	მგ/ექვ
საერთო	16,3	5,8
კარბონატული	30,8	11,0
არაკარბონატ.	0	0

შანგვადობა	O_2	მგ/ლ	4,0

წყლის მარილოვანი შემადგენლობა (კურლოვის ფორმულა)

$$M_{2,8}\frac{SO^4_{54}HCO^3_{25}Cl_{16}}{Na_{87}}$$

ქიმიური შემადგენლობა

წყალბადიონის მაჩვენებელი	pH	7,3

იონები			მგ/ლ	მგ/ექვ	მგ/ექვ,%
ანიონები	ქლორი	Cl^-	248,0	7,00	15,93
	სულფატი	SO_4^{2-}	1150,0	23,94	54,48
	ნიტრიტი	NO_2^-	0,3	კვალი	
	ნიტრატი	NO_3^-	0,1	კვალი	
	ჰიდროკარბონატი	HCO_3^-	671,0	11,00	25,03
	კარბონატი	CO_3^{2-}	60,0	2,00	4,56
	ჯამი		2129,4	43,94	100
კათიონები	ნატრიუმი	$Na^+ + K^+$	876,5	38,11	86,73
	კალიუმი				
	ამონიუმი	NH_4^+	0,1	კვალი	
	კალციუმი	Ca^{2+}	54,7	2,73	6,21
	მაგნიუმი	Mg^{2+}	37,8	3,10	7,06
	რკინის ქვეშანაბი	$Fe^{2+} + Fe^{3+}$	0,3	კვალი	
	რკინის შანბი				
	ჯამი		969,4	43,94	100

მინერალიზაცია

მშრალი	ექსპერიმ.	მგ/ლ	3017,3
ნაშთი	გამოთვლ.		2767,3

ნახშირორჟანაბი CO_2

თავისუფალი CO_2		მგ/ლ	არ არის
აბრესიული CO_2	გამოთვლ.		არ არის

ს.ს. „საქქალაქმშენპროექტი“ ქ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ.№74	წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები	საინჟინრო კვლევების განყოფილება ბრუნტების და წყლების კვლევის ლაბორატორია

ობიექტის დასახელება

ქ. თბილისი. ვაჟა-ფშაველას გამზირის და მარიჯანის ქუჩის გადაკვეთაზე მრავალსართულიანი კომპლექსი

წყალპუნქტის დასახელება	ჭაბ. № 2	სინჯის აღების თარიღი: 15. 08. 2005 წ.
სინჯის აღების სიღრმე	h = 8,0 მ	

ლაბ. № 135

ფიზიკური თვისებები

გამჭვირვალობა	შემღვრეული
ფერი	უფერო
ნალექი	უმნიშვნელო
სუნი	უსუნო
გემო	არ განსინჯულა
ტემპერატურა	—

სიხისტე

დასახელება	გერმანული გრადუსი	მგ/ექვ
საერთო	16,2	5,8
კარბონატული	28,0	10,0
არაკარბონატ.	0	0

შანგვადობა	O_2	მგ/ლ	4,5

წყლის მარილოვანი შემადგენლობა (კურლოვის ფორმულა)

$$M_{2,9}\frac{SO^4_{54}HCO^3_{21}Cl_{19}}{Na_{88}}$$

ქიმიური შემადგენლობა

წყალბადიონის მაჩვენებელი	pH	7,3

იონები			მგ/ლ	მგ/ექვ	მგ/ექვ,%
ანიონები	ქლორი	Cl^-	308,8	8,70	18,63
	სულფატი	SO_4^{2-}	1200,7	24,99	53,52
	ნიტრიტი	NO_2^-	0,3	კვალი	
	ნიტრატი	NO_3^-	0,1	კვალი	
